პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულება №

ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩის სახელის შეცვლისა
და მისთვის საქართველოს გმირის, საქართველოს ტერიტორიული
მთლიანობისათვის მებრძოლის, ავთანდილ დეკანოიძის სახელის
მინიჭების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ელი ივნისის №239 დადგენილების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული პატივგებისა და სახელდების კომისიის რეკომენდაციისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობის საფუძველზე:

მუხლი 1. შეეცვალოს სახელი ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩას და მიენიჭოს მას საქართველოს გმირის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერის, ავთანდილ დეკანოიძის სახელი.

მუხლი 2. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, დავით ერემეიშვილს წინამდებარე განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მონაკვეთის სახელდებასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესი.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩის სახელის შეცვლისა და მისთვის საქართველოს გმირის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლის, ავთანდილ დეკანოიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ:

ა) განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედმა კომისიამ 2026 წლის 10 მარტის გამართულ სხდომაზე იმსჯელა და მიიღო რეკომენდაცია ქალაქ ქუთაისში, მამია ორახელაშვილის ქუჩას შეეცვალოს სახელი და მიენიჭოს ავთანდილ დეკანოიძის სახელი. ავთანდილ დეკანოიძე აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, ჟიული შარტავას დაცვას ხელმძღვანელობდა. 1993 წლის 27 სექტემბერს, ქ. სოხუმში, ჟიული შარტავასთან ერთად ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს. იგი ასევე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და ერთიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის, ასევე საბრძოლო მოქმედებებში გამოჩენილი თავდადებისათვისა და თავგანწირვისათვის ავთანდილ დეკანოიძე დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასალის II ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ.

ბ) განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

განკარგულების პროექტის მიღების მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და ერთიანობისათვის მებრძოლი და თავგანწირული ავთანდილ დეკანოიძის სახელის უკვდავყოფა.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

განკარგულების პროექტის მიღებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხრჯები გაიზრდება 3000 ლარის ოდენობით.

3. განკარგულების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

განკარგულების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისია.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - დავით ერემეიშვილი.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი გენადი კუჭუხიძე.

დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი